

თავი 30 ვისი ბრწყინვალე იდეაა?

– ვაშა, ვაშა! – ფილტვების დაბერვამდე ყვიროდა მამაკაცი.

შეშინებული და გაოცებული მოხუცები ხმამაღლა მოლაპარაკე შემოსულს მიაშტერდნენ. მამაკაცი შესანიშნავად გამოიყურებოდა. მოკლედ შეჭრილი უღვაში ჰქონდა და უკანასკნელ მოდაზე ეცვა. იგი ოთახში შავ კოსტიუმებში გამოწყობილი რამდენიმე კაცის თანხლებით შემოვიდა. თითოეულს ხელში პორტფელი ეჭირა. ისე ეფოფრებოდნენ მეთაურს, თითქოს მათი სიცოცხლე ამ კაცზე იყო დამოკიდებული. მეთაური მაგიდისკენ წავიდა ფინჯანი ყავისთვის, მოთმინებადაკარგულმა თანმხლები პირები ხელის მბრძანებლური აქნევით მოიშორა. ისინიც ოთახის ერთ კუთხეში მიიყუვნენ ცხვრებივით და მის ბრძანებებს დაელოდნენ.

– მომილოცავს! – თქვა ჯონათანმა, – არ ვიცი რას აღნიშნავთ, მაგრამ მომილოცავს! – ჯონათანმა თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ ამ დენდისთვის ყავა დაესხა, თან მისი ჩაცმულობის მკაცრ და მკვეთრ ხაზებს აკვირდებოდა.

– შეიძლება გკითხოთ, ასე რამ გაგახარათ?

– რა თქმა უნდა, შეიძლება, – ამაყად უპასუხა ჯენტლმენმა, – მადლობელი ვარ ყავისთვის. ოჰო, ცხელია. . . ჩაინიშნე ეს მეორე ნომერო, – მიუბრუნდა ის თავის ერთ-ერთ თანმხლებს, რომელიც კუთხიდან გამოვარდა და ბლოკნოტი ამოიღო. ჯენტლმენმა ყავა ისევ მაგიდაზე დადო, ხელი ჯონათანს გაუწოდა და უთხრა:

– მე ჯორჯ სელდენი ვარ, თქვენ?

– ჯონათანი, ჯონათან გულიბლი, სასიამოვნოა!

ჯორჯმა ჯონათანს მაგრად ჩამოართვა ხელი.

– ჯონათან, დღეიდან ჩემი სიმდიდრე უსაფრთხოაა. ეს-ეს არის გადამწყვეტი ხმა მივიღე.

– რა ხმა?

– სამი ორის წინააღმდეგ. უზენაესმა სასამართლომ ჩემი გამოგონების – „ჯოხზე დამაგრებული ბასრი ლითონის“ გამოყენებაზე საპატენტო წერილი დაამტკიცა.

– საპატენტო წერილი რა არის? – იკითხა ჯონათანმა.

ჯორჯი ამაყად გაიმართა წელში და განუცხადა:

– ეს ყველაზე ღირებული დოკუმენტია კორუმპოში. საბჭომ გამოსცა წერილი, რომლის თანახმადაც მე მაქვს ექსკლუზიური უფლება, გამოვიყენო ხე-ტყის ჭრის რევოლუციური მეთოდი. არავის აქვს უფლება, ჩემი ნებართვის გარეშე გამოიყენოს „ჯოხზე დამაგრებული ბასრი ლითონის“ მეთოდი. მე გავმდიდრდები.

– ეს როდის გამოიგონეთ?

– ო, ეს ჩემი იდეა არ ყოფილა, ჩარლი გუდიარმა, ღმერთმა აცხონოს, შეკრიბა ყველაფერი და ეს ქაღალდები იდეების კონტროლის ბიუროს გადაუგზავნა. მაგრამ ამასობაში გარდაიცვალა. მე ჩარლის ქვრივს გროშები გადავუხადე მისი უფლებების საყიდლად. ხარჯები მალე დაიფარება, – მან თავის ქნევით გადახედა კუთხეში მიყუჟული ადამიანების ჯგუფს და დასძინა, – ჩარლი თვითონ ვერასოდეს შეძლებდა ასეთი ადვოკატების დაქირავებას.

– და საბოლოოდ წაგებული ვინ დარჩა?

– ბევრი, – ჯორჯი ჭერს მიაშტერდა და გონებაში თვლა დაიწყო, – ალბათ სულ მცირე 34 კაცი მაინც იქნება, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს იდეა ჩემზე, ანუ ჩარლიზე ადრე მოუვიდათ. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ეს ლოგიკური აღმოჩენა იყო „ჯოხზე დამაგრებული ქვის“ მეთოდის გამოყენების შემდეგ. ჰმ, ჩარლის ბებიამ მის წინააღმდეგ საჩივარიც კი შეიტანა. ამტკიცებდა, რომ ჩარლი მას უნდა უმადლოდეს ამ აღმოჩენას. ერთი მწერალი კი იმასაც იბრალებდა, რომ ჩარლიმ ეს იდეა მას მოპარა.

ჯორჯი შეჩერდა და ყავას სული შეუბერა.

– მაგრამ ეს ბოლო სასამართლო ყველაზე რთული იყო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ პირველად მამამისმა დაამაგრა ლითონი ხეზე. მისი სახელიც კი არ მახსოვს ახლა.

ჯონათანმა ნერწყვი გადაყლაპა. გაახსენდა შეშისმჭრელებთან დაკავშირებული შემთხვევა.

– იმ ქალს დროუბო ერქვა? – გაახსენდა პირველი ინციდენტი კუნძულზე შეშისმჭრელ ქალთან დაკავშირებით.

– რა მნიშვნელობა აქვს მის სახელს? მას ოცზე მეტი მოწმე ჰყავდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს იდეა დიდი ხნის წინ გაუჩნდა. ამბობდა, რომ მამამისი დაბადებიდან ხელოსანია, მას და მამამისს უბრალოდ სურდათ საქმე გაეადვილებინათ. ხალხის სიმპათიის მოპოვებას იმით ცდილობდა, რომ ამტკიცებდა, ღარიბი შეშისმჭრელი ვარ და პატენტისა და ადვოკატების ფული არასოდეს მექნებო. მაგრამ მე გეგმები ჩაფუშაღე, რადგან გავავრცელე ინფორმაცია წარსულში მისი ნასამართლეობის შესახებ. მოსამართლეების თვალში მისი სანდოობა შეირყა. არ გაუმართლა, არა?

– არ გაუმართლა? – გაიმეორა ჯონათანმა.

– მგონი მას ისტორიაში შესვლა უნდოდა. ახლა კი მის შესახებ არავინ დაწერს, – ჯორჯმა ფინჯანი ისევ მაგიდზე დადო, კედლისკენ გადაიხარა და თავის მარჯვენა ხელზე უზადოდ გაკეთებულ მანიკიურს დააცქერდა. აშკარად ტკებოდა თავისი ტრიუმფით.

– საქმემ სხვა მიმართულება მიიღო, – განაგრძო ჯორჯმა, – ზოგიერთმა განაცხადა, რომ იდეის გამოყენების პატენტის მიღების უფლება არ მაქვს, რადგან ეს სხვებს თავისუფლებას შეუზღუდავს. მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ მაქვს ამის უფლება, რადგან ჩარლიმ ყველას დაასწრო და პირველმა შეიტანა სარჩელი. დაგვიანებულებისთვის აქ ადგილი არ არის. მე მისი მფლობელი ვიქნები ჩვიდმეტი წლის განმავლობაში.

– ჩვიდმეტი წლის? რატომ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში? – იკითხა ჯონათანმა.

– ვინ იცის. . . ჩაიქირქილა, – ალბათ მაგიური ციფრია და იმიტომ.

– მაგრამ თუ თქვენ ფლობთ იდეის გამოყენებას, რატომ ვერ გამოიყენებთ მას 17 წლის შემდეგ? 17 წლის შემდეგ მთელ თქვენს ქონებას კარგავთ?

– ჰმ, – ჯორჯი შეჩერდა და ისევ ყავა აიღო, დაფიქრდა და ყავას მოურიცა.

– კარგი შეკითხვაა. როგორც წესი, ქონების ფლობაზე დროის ლიმიტი არ არსებობს, თუ საბჭო არ გადაწყვეტს, რომ საჭიროა ამ უფლების ჩამორთმევა დიდი საზოგადოებრივი ინტერესებისთვის. შეიძლება ამჯერადაც დიდ საზოგადოებრივ ინტერესებთან გვაქვს საქმე. ერთი წუთით. . . – მან ხელი ასწია და მეორე ნომერიც მაშინვე გამოვარდა ოთახის კუთხიდან. ეს კაცი პრაქტიკულად ლეკვივით დახტოდა ჯორჯის გარშემო.

– რით გემსახუროთ, სერ?

– მეორე ნომერო, აუხსენი ჩემს ახალგაზრდა მეგობარს რატომ არ შემიძლია

საპატენტო წერილის ფლობა 17 წელიწადზე მეტხანს.

– დიახ სერ. საქმე შემდეგში მდგომარეობს. ძველ დროში საპატენტო წერილი სამეფო მონოპოლიის უფლებას ანიჭებდა მონარქთან დაახლოებულ პირებს. თუმცა დღესდღეობით წერილის პატენტის ფუნქცია... – ნომერი ორის მონოტონური ხმა გარშემომყოფებზე ისე მოქმედებდა, რომ ძილი მოერიათ – ...მდგომარეობს იმაში, რომ სტიმული მისცეს გამომგონებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ ექნებათ საინტერესო გამოგონებების შექმნისა და საიდუმლოებების გამოვლენის სურვილი. ერთი საუკუნის წინ ერთმა ცრუმორწმუნე გამომგონებელმა დაარწმუნა ლორდთა საბჭო, რომ 2.5 გამრავლებული 7 წელიწადზე და ამას გამოკლებული 6 თვე საკმარის მონოპოლიურ პრივილეგიებს აძლევდა გამომგონებლებს.

– გთხოვთ შემისწოროთ თუ ვცდები... – თქვა ჯონათანმა, რომელიც საქმის არსში გარკვევას ცდილობდა, – თქვენ ამბობთ, რომ გამომგონებლების მოტივაციის

წყარო ერთი სურვილია – გამდიდრდნენ იმით, რომ სხვებს იდეების გამოყენების საშუალება არ მისცენ?

ჯორჯმა და მეორე ნომერმა ერთმანეთს დაბნეულად შეხედეს.

– სხვა რა მოტივი შეიძლება არსებობდეს კიდევ? – იკითხა ჯორჯმა საპასუხოდ.

ჯონათანი ცოტა არ იყოს დაითრგუნა, როცა დაინახა, რამდენად შეზღუდული წარმოსახვის უნარი ჰქონდათ.

– ესე იგი, ყველამ, ვინც ბასრ ლითონს ჯოხზე დაამაგრებს, თქვენ უნდა გადაგიხადოთ?

– ან უნდა გადამიხადონ, ან მე თვითონ ვაწარმოებ პროდუქციას, ათასში ერთხელ, მაგრამ ძვირად, – თქვა ჯორჯმა.

ნომერმა ორმა ნერვიულად გაიცინა, თან გვერდულად გადახედა ჯორჯს.

– ჰმ, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია სერ. ჩვენ გვყავს პერსონალი, რომელიც ამ საკითხზე უკვე მუშაობს. თქვენ ალბათ გახსოვთ, რა პრობლემები გვქონდა შეშისმჭრელთა კანონის შესახებ, რომელიც კრძალავდა ახალი იარაღების გამოყენებას. დღეს მოგვიანებით კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი ლედი ტვიდთან. თუ კანონისგან გაგვათავისუფლეს, შეშისმჭრელები შეიძლება დაგვეთანხმონ 17 წლიან პერიოდზე.

მეორე ნომერი ჯონათანს მიუბრუნდა და ახსნა განაგრძო:

– შეშისმჭრელებს აქვთ ერთი უძველესი და უცნაური ტრადიცია, რომ მათ მიერ ძველი იდეის გამოყენება ჩვენ უნდა დავიცვათ ახალი იდეის გამოყენებისგან. მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენ მოსვლა დაგვაგვიანდა.

ჯორჯი ფიქრებში წასულიყო:

– კანონი შეშისმჭრელების შესახებ ძალიან არაპროგრესულია. რას იტყვი მეორე ნომერო? – თქვა ჯორჯმა დაუფიქრებლად, – ვიცი, შენი იმედი შემიძლია მქონდეს. შენ ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უსწრებ დანარჩენ „მოთამაშეებს“.

– კი მაგრამ ბატონო. . . – ჩაურთო ჯონათანმა, – რა მოხდებოდა დღეს რომ სასამართლოში პატენტი არ მოგეგოთ?

ჯორჯმა ნომერ ორსა და ჯონათანს მაგრად გადახვია ხელი და კარისკენ წაიყვანა:

– ახლგაზრდავ, გარწმუნებ, პატენტი რომ არ მომეგო ახლა აქ არ ვიქნებოდი და შენთან ლაეობაში დროს არ დაგეგარგავდი. ვეცდებოდი, საუკეთესო ქარხანასთან დაკავშირებას, რათა ყველასთვის დამესწრო და „ჯოხზე დამაგრებული ბასრი ლითონი“ გამოემშვა. მეორე ნომერი კი ახლა სხვა სამსახურის ძებნაში იქნებოდა. ასე არ არის მეორე ნომერო? შეიძლება სამართლის ნაცვლად წარმოების, მარკეტინგის ან კვლევის სფეროში ყოფილიყო. ყოველი ახალი „ჯოხზე დამაგრებული ბასრი ლითონი“ რაღაც ინოვაციურ ელემენტს უნდა შეიცავდეს, რათა ერთი ნაბიჯით წინ უსწრებდე სხვებს.

– საშინელებაა! – ჩაიჭირქილა მეორე ნომერმა, – არა, მე რამეს ვიპოვიდი სამართლის სხვა სფეროში, შეიძლება თაღლითობის ან კონტრაქტების სფეროში მეცადა ბედი.